



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 126

ქალაქი ქუთაისი 19 აპრილი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
22-ე სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 22-ე სხდომა მ/წლის 21 აპრილს 12:00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 22-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისში 2016 წელს დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N224 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თობაზე.

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მ.ბასილაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების,
კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და
დასუფთავების სამსახურის უფროსი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N15 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ი.გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში
/ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ბექა ყანჭელი